სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება № 200

ქ. ფოთი

15 ოქტომბერი 2018 წ

ერთისმხრივსსიპ საზოგადოებრივი კოლეჯის „ფაზისი“ (შემდგომში „შემსყიდველი“), წარმოდგენილი მისი დირექტორის ნინო ბაკურაძის სახით და მეორეს მხრივ შ.პ.ს. „ორგსერვისი“(შემდგომში „მიმწოდებელი“), წარმოდგენილი დირექტორის, ხვიჩა ნემსაძეს სახით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის მე-4 ქვეპუნქტის შესაბამისად ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი და მიწოდების ვადები:

1.1.ხელშეკრულების საგანია საქონლის შესყიდვა.
1.2 საქონლის დასახელება- ფაილი (CPV-22852100); სტეპლერი (CPV-30197320); დაფის საწმენდები (CPV-39292110); მარკერები (CPV-30192125); ფლიფჩართის ქაღალდები (CPV-30197621); წებო (CPV-24910000); მაგიდის კალკულატორები (CPV-30141200); ჩასანიშნი ფურცლები (CPV-22816300); საქაღალდეები (CPV-22852000).
1.3 საქონლის მიწოდება უნდა განხორციელდეს 2018წლის 30 ოქტომბრამდე.

2. ხელშეკრულების ღირებულება:

2.1ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს - **171 ლარი და 24 თეთრი (ას სამოცდათერთმეტი ლარი და ოცდაოთხი თეთრი) დღგ-ს გარეშე.** (იხ. დანართიN1).

3. ანგარიშსწორების ფორმა და ვადა

3.1.მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში.
3.2.მიმწოდებელთან ანგარიშსწორება იწარმოებს, მხარეთა მიერ ხელშეკრულებით გათვალისწნებული სასაქონლო ზედნადების ან საგადასახადო ანგარიშფაქტურის წარმოდგენიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში.

4. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

4.1. შესყიდვის საგნის ან მისი ნაწილი (ეტაპი) ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ, თუ ხელშეკრულების სპეციფიკური პირობებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.
4.2.საქონლის მიღება გაფორმდება სასაქონლო ზედნადებით ან საგადასახადო ანგარიშფაქტურით, შემსყიდველისა და მიმწოდებლის საამისო დუფლება მოსილი წარმომადგენლის ხელმოწერით. მიღება-ჩაბარების აქტის დოკუმენტაციაზე ხელმოწერაზე უფლებამოსილი პირია კოლეჯის მატერიალური რესურსების უზრუნველყოფის კოორდინატორი - ზურაბ ჯიქია.
4.3. შემსყიდველი ვალდებულია ოპერატიულად, წერილობითი სახით, აცნობოს მიმწოდებელს საბოლოო შემოწმების შედეგები და წუნებული პროდუქციის მიწოდების ნაწილის (ეტაპის) დაწუნდების მიზეზის მითითებით.

5. მხარეთა უფლები-ვალდებულებები

5.1.შემსყიდველს უფლება აქვს:
მიმწოდებლისაგან მოითხოვოს ხელშეკრულებით გათვალისიწნებული ყველა პირობის დაცვა.
5.2. შემსყიდველი ვალდებულია:
-მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.
5.3. მიმწოდებელს უფლება აქვს:
-მოსთხოვის შემსყიდველს მიწოდებული პროდუქციის ღირებულების ანაზღაურება.
5.4. მიმწოდებელი ვალდებულია:

6. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

6.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2018 წლის 31 დეკემბრამდე.

7. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

7.1.ფორს-მაჟორული პირობების გარდა, მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისა ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოიყენება საჯარიმო სანქციები.
7.2 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ანშ ესრულების ვადის გადაცილებისათვის მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა, – ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.02%-ისოდენობით, ხოლო, თუ კი ადგილი აქვს ვალდებულების ნაწილის შეუსრულებლობას, პირგასამტეხლო შეადგენს ვალდებულების შეუსრულებელი ნაწილის 0.02 %-ს.
7.3 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

8. ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირება

8.1. შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან ან ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ან აზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
8.2. ხელშეკრულების ინსპენქტირებას შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს თეა ზარგინავა (კოლეჯის შესყიდვების სპეციალისტი).

9. ხელშეკრულების შეწყვეტა მისი პირობების შეუსრულებლობის გამო

9.1 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში შესმყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტის შესახებ.
9.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10. ფორს-მაჟორი

10.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.
10.2 ამ მუხლის მიზნებისათვის ,,,ფორს-მაჟორი''ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.
10.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ.

11. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

11.1 ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.
11.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად

12. სხვა პირობები

12.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, შესაბამისმა მხარემ დაუყონებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ უმოკლეს დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება.

12.2 ხელშეკრულებაში დამატებების ან/და ცვლილებების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

12.3 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

12.4. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, იურიდიული ძალის მქონე ორ იდენტურ ეგზემპლარად, თითო ყოველი მხარისათვის.

13. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

შემსყიდველი:	მიმწოდებელი :
სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი ,,ფაზისი"	შ.პ.ს. ,,ორგსერვისი"
ს/კ 215 101716	ს/კ 212693851
მის: ქ.ფოთი, კონსტიტუციისქ. №54	მის:ქ. ფოთი, აღმაშენებლის ქ.№37
ბანკის დასახელება	ბანკის დასახელება
სახელმწიფო ხაზინა	სს ,,თიბისი ბანკი"
გაერო/გრანტი	საბანკო კოდი:
	TBCBGE22
	ანგარიშის ნომერი
	GE32TB0300000030467356
დირექტორი:	დირექტორი:
/ნინო ბაკურაძე/	/ხვიჩა ნემსაძე/

დანართი №1

ფასების ცხრილი

№	საქონლის დასახელება	კატეგორიის/ ქვეკატეგორიის კოდი	ზომის ერთეული	რაოდენობა	ერთეულის ფასი	სულ ჯამი
1	2	3	4	5	6	7
1	ფაილი	22852100	შეკვრა	1	4-75	4-75
2	სტეპლერი (პატარა)	30197320	ცალი	1	1-70	1-70
3	დაფის საშლელი	39292110	ცალი	1	1-27	1-27
4	ფლიფჩართი	30197621	შეკვრა	1	6-36	6-36
5	მარკერი დაფის (შავი)	30192125	ცალი	1	1-86	1-86
6	მარკერი ქაღალდის(შავი.წითელი.ლურჯი)			6	0-85	5-10
7	წებო ქაღალდის მშრალი	24910000	ცალი	5	0-68	3-40
8	გამომთვლელი	30141200	ცალი	12	11-44	137-28
9	ჩასანიშნი ფურცლები	22816300	ცალი	2	0-68	1-36
10	საქაღალდე სწრაფჩამკერი	22852000	ცალი	24	0-34	8-16
					სულ ჯამი:	171-24

სულ თანხა -171 ლარი და 24 თეთრი(ას სამოცდათერთმეტი ლარი და ოცდაოთხი თეთრი) დღგ-ს გარეშე.

„შემსყიდველი"

სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი „ფაზისი"

დირექტორი:

/ნინო ბაკურაძე/

„მიმწოდებელი"

შ.პ.ს. „ორგსერვისი"

დირექტორი:

/ხვიჩა ნემსაძე/

ხელწერილი

(ინტერესთა კონფლიქტის არ არსებობის შესახებ)

ქ. ფოთი 15 ოქტომბერი 2018 წელი

„სახელმწიფო შესყიდვების“ შესახებ საქართველოს კანონის მე-8 მუხლისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს N 13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმებისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ მე-8 მუხლის შესაბამისად, ვადასტურებთ, რომ არ ვიმყოფებით ინტერესთა კომპლიქტში შპს „ორგსერვისი“-ს მიმართ.

სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯის „ფაზისი“

დირექტორი: /ნინო ბაკურაძე/

შესყიდვების სპეციალისტი: /თეა ზარგინავა/